ცნობის ფურცელი

№ 2337 შაბათი, 29 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2337

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნეინა სოფიო ვასილის ასული, თავადი კონსტანტინე, კნიაჟნები ანასტასია და ბარბარე და კნეინა ქეთევან ჯიბრაილის ასული ამირეჯიბნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უეცრივ გარდაცვალებასა პირველი ქმრისა, მეორენი—მამისა, ხოლო უკანასკნელი—მამამთილისა კავკასიის მხედრობის 1-ლ კორპუსის უფროსის გენერალ-ლეიტენანტის

თავადის მიხეილ ქაიხოსროს ძის ამირეჯიბისას.

პანაშვიდები 29 ნოემბერს 1 და 7 საათზედ. გამოსვენება მიცვალებულისა საკუთარ სადგომიდან, კრილოვის ქუჩაზედ № 8, 30 ნოემბერს, დილით 10 საათზედ, დიდუბის ეკლესიაში, რომლის გალავანშივე დაკრძალულ იქნება გვამი მიცვალებულისა. (1—213—1)

ნინო გრიგორის ასულ და ვასილი ალექსანდრეს ძე დებით სულხანიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მაზლისას და მეორეები—ბიძის

ლუარსაბ გაბრიელის ძე სულხანიშვილისას

და სთხოვენ დაესწრნენ გარდაცვალებულის გვამის გამოსვენებას მის სადგომიდან, რეუტოვის ქ. № 10 კუკიის ნიკოლოოზის ეკლესიაში, კვირას, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე. პანაშვიდი შაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 8 ს. (1—212—1)

თავ. ივანე გიორგის ძე, თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე და კნ. ელენე ივანეს ასული ვაჩნაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ძმისა, მეორე მამისა და მესამე მამათილის

ალექსანდრე გიორგის ძის ვაჩნაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზე. განსვენებულს გაასვენებენ კვირას, 30 ნოემბერს, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან კუკიის სასაფლაოზე. (ნ. 1—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 29 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება („გალა“)

ბოჰემა

ოპერა 4 მოქმ. პუჩინისა.

მონაწილეობას იღებენ; ქ-ნნი: რენე-რადინა, კარტავინა; ბ-ნნი: ფიგნერი, გლადკოვი, ევლახოვი, შმაკოვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 30 ნოემ.—ორი წარმოდგენა; დილით—„ევგენი ონეგინი“, საღამოთი—„სნეგუროჩკა“. მზადდება წარმოსადგენად „კამმორა“. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. - 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** 4. № 27

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქისპირდაპირ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტ. პარმაკლიძისა. (0—6.—24)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ცნობა რუსეთისა და იაპონიის მორიგებაზე

ერთის კვირის წინ ნიუ-იორკიდან მიღებულმა დეპეშამ გვაცნობა, იაპონია და რუსეთი მორიგების უმთავრეს მუხლების თაობაზე შეთანხმდნენო. ნიუ-იორკში ეს ცნობა ამერიკულ გაზ. „ასოშიატიდ პრეს“-ის პარიზელ კორესპონდენტს გაეგზავნა. ამ კორესპონდენტის დეპეშა ეხლა უფრო დაწვრილებითაა დაბეჭდილი გაზეთებში. კორესპონდენტის დეპეშაში ნათქვამია, რუსეთი და იაპონია ამნაირად შეთანხმდნენ: „რუსეთი სთანხმდება და აღიარებს იაპონიასა და კორეიას შუა 1896 და 1898 წ. დადებულ ორს პირობას. ამ პირობების ძალით, იაპონიამ ბევრი უფლება მოიპოვა კორეიაში, სხვათა შორის, იაპონელებს სეულში დასახლების უფლება მიეცათ. იაპონია კიდევ თანახმაა, რომ რუსეთისა და ჩინეთის ხელ-შეკრულება მანჯურიის თაობაზე დამტკიცდეს. ჰფიქრობენ, თუმცა ნამდვილად კი არ იციან, რუსეთი თანხმა გახდება, რომ კორეიასა და ჩინეთში უცხოელებს ვაჭრობის უფლება მიეცესო“.

„ასოშიატიდ პრეს“-ის კორესპონდენტი უმატებს: „რუსეთისა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრების უკანასკნელ შეხვედრის დროს, პარიზში დელკასეს ეთქვა, საფრანგეთს მეტად გულითა ჰსურს, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მშვიდობიანად

ფელეტონი

კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება

თანამედროვე ცხოვრების ერთ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს მისი სირთულე და მასში არსებულ ურთიერთობათა მრავალ-ფეროვანობა. და რამდენადაც წინ მიდის კულტურა და განვითარება, იმდენად უფრო ფართოვდება საზოგადოებრივობა, რთული და დაკვანძული ხდება საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს ცხოვრების თანდათანი გართულება ნიშნავს სოციალურ კავშირის გამაგრებას და გაძლიერებას, კერძო ადამიანთა ერთმანეთთან დაახლოვებას და დაკავშირებას. თანამედროვ ცხოვრების მექანიზმი ისეა მომართულ-მოწყობილი, რომ ყოველი ჩვენგანი, თავისი ინტერესებით და არსებობის პირობებით, ბევრნაირად არის სხვებისგან დამოკიდებული; ყოველი წევრი საზოგადოებისა მრავალ უჩინარ ძაფებით არის სხვა წევრებთან დამოკიდებულ-დაკავშირებული. სხვა-და-სხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა და დამოკიდებულება ობობას ქსელივითაა დღევანდელ ცხოვრებაში გაბმული. და აი, აქ,—ამ ქსელში გახლართული,—მოქმედობს ყოველი ჩვენგანი: მუშაობს, იბრძვის, მოძრაობს და ამ თავისი გაუწყნარებელი საქმიანობით კიდევ უფრო აძლიერებს და მჭიდროდ ხდის ადამიანთა ურთიერთ კავშირს და დამოკიდებულებას.

შეიძლება, ეს ჩვენი აზრი ბევრს ერთის შეხედვით ყალბად და სინამდვილესთან შეუთანხმებლად ეჩვენოს. დღეს ხომ, როგორც ყველამ იცის, ეკონომიურ ინდივიდუალიზმის ხანაა: ყველა მოქმედობს თავის ანგარიშისა და მიდრეკილების მიხედვით და ცდილობს ცხოვრებაში თავის გატანას საკუთარის ძალ-ღონით და გამჭრიახობით. თითქოს ისეთ დროში, რომელიც თავის პრინციპად აღიარებს კერძო ადამიანის თავისუფალს—სხვისაგან იურიდიულად დამოუკიდებელს—მოქმედებას, საცა შრომის თავისუფლებაა გამოცხადებული და მთელი ცხოვრების მექანიზმი კერძო ადამიანთა მეტოქობასა და ბრძოლაზე დამყარებული, ადგილი არ უნდა ჰქონდეს მჭიდრო საზოგადოებრივ კავშირს და დამოკიდებულებას. აბა, მართლა, რა ინტერესების ერთობა და დაკავშირება უნდა იყოს იქ, საცა სასტიკი ბრძოლაა, ბრძოლა არსებობისთვის, გაჩაღებული და თითოეული ცდილობს თავისი მეტოქე დაამარცხოს და თითონ გამოვიდეს მძლეველი და გამარჯვებული? მაგრამ სწორედ საქმეც ისაა, რომ ამგვარ „დამოუკიდებელ ურთიერთობათა“ ქვეშ სულ სხვანაირი განწყობილებაა დამალული და იქ, საცა ადამიანთა სრული დამოუკიდებლობა და თავისუფალი მოქმედება გვეჩვენება, ნამდვილად არის კავშირი რთული, დამოკიდებულება მჭიდრო სოციალური. ამ აზრის ნათელსაყოფელად საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს ორი ხანა: ძველი პატრიარქალური,—ხანა ოჯახურ მეურნეობის, და ახალი ბურჟუაზული,—ხანა სახალხო მეურნეობისა და გავითვალისწინოთ ზოგიერთი მათი ნიშნობლივი თვისებები.

პატრიარქალურ დროის დამახასიათებელი ნიშანია წარმოება ოჯახური, მეურნეობა კარ-ჩაკეტილი და თავისი თავის თვითონ დამკმაყოფილებელი. აქ თითოეული აწარმოებს თითქმის ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია: იგი ამუშავებს მიწას და ამზადებს სამრეწველო ნაწარმოებთაც. ოჯახს შემოაქვს გარედან ნაწარმოების გაცვლით მხოლოდ ისეთი საგნები, რომლების დამუშავებას და წარმოებას ადგილობრივი ბუნება ხელს არ უწყობს: გარედან უნდა შემოტანილ იქმნეს, მაგალ., რკინა ან მარილი იქ, საცა ამ ნივთიერებათა მადანი არ მოიპოვება. ამიტომ მეურნეობის პატრიარქალურ ხანაშიაც არსებობს ყიდვა-გაყიდვა ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა, არის აღებ-მიცემობა, მაგრამ ესაა დაფუძნებული არა შრომის სოციალურ განაწილებაზე, არამედ ხალხით დასახლებულ ადგილთა ბუნებრივ სხვა-და-სხვაობაზე. ამ ძველს დროში ოჯახი იძენს გარედან მხოლოდ იმ საგნებს, რომლებსაც ადგილობრივი ნიადაგი არ იძლევა, ყიდულობს ბამბას, მატყლს, ღვინოს მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივ ჰავისა და მდებარეობის გამო ბამბის თესვა, ცხვრის ყოლა ან ვაზის მოშენება არ შეუძლია. მაგრამ ამგვარი ბუნებრივი საფუძვლით წარმომდგარი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ძალიან მცირე და უმნიშვნელოა, თავის მოთხოვნილებათა დიდ-ძალ უმრავლესობას თითოეული ოჯახი საკუთარის ძალ-ღონით და წარმოებით იკმაყოფილებს. ამიტომ ამ დროში თითოეულ სოფლის ყველა ოჯახები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი მეურნეობით და ეკონომიურ მოქმედებით. ერთიც იმას აწარმოებს და იწევს, რასაც მეორე და მესამე; ასე რომ მათ ერთმანეთში გასაცვლელი არა აქვთ-რა. გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ერთს ისეთი ნაწარმოები აქვს, რომელიც მეორეს არ მოეპოვება, ხოლო ამ მეორეს-კი ისეთი, რომელიც პირველს არა აქვს და საჭიროებით კი ესაჭიროება. ერთის სიტყვით, იმ დროინდელ წარმოებას ნიშნად ერთფეროვნების ბეჭედი აზის. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ხალხში შრომის განაწილება არ მომხდარა, ეკონომიური ერთეულები ერთმანეთთან არ დაკავშირებულან, ურთიერთი დამოკიდებულება არ გართულებულა და საერთოდ საზოგადოებრივობა არ გაფართოებულა.

ამიტომ მწარმოებელნი ერთმანეთისაგან ეკონომიურად დამოკიდებულნი არ არიან,—ყველა ცხოვრობს თავისთავად და სხვებთან კავშირისა და საზოგადოდ ურთიერთობის გაუბმელად. ვთქვათ, რომელსამე ოჯახში მოარულმა გასწყვიტა წევრთა უმრავლესობა. ეს ნიშნავს მხოლოდ ამ ოჯახის ძალის შემცირებას, მის ეკონომიურად დაქვეითებას. ამით, შეიძლება ვთქვათ, მის მეზობელს არავითარი ზარალი არ მიეცემა,—ეს ისე განაგრძობს ცხოვრებას, როგორც წინეთ უცხოვრია. მეზობლის გაჩანაგება არ იწვევს მის გაჩანაგებასაც, არ იწვევს იმიტომ, რომ იგი არ არის მასთან აღებ-მიცემობითა ურთიერთობით დაახლოვებული და დაკავშირებული. და ეს ასეა

გადასწყდესო. თუმცა-კი დელკასეს ისიც დაემატებინა, რაც უნდა მოხდეს აღმოსავლეთ-აზიაში, საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთობა მაინც ერთი ბეწოთი არ შეიცვლებაო. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ლამსდორფს ეპასუხნა, რუსეთის მთავრობაც ძლიერა ცდილობს, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მშვიდობიანადა და მორიგებით გათავდესო“.

ამ ცნობების თაობაზე გერმანული გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგ“-ი სწერს: „თუმცა ბერლინში არ იციან, რამდენად მართალია ამერიკულ გაზეთის ცნობა, მაგრამ აქაურ პოლიტიკოსთა წრეებს მაინც იმედი აქვთ, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მშვიდობიანად გადასწყდება და რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება მორიგებით გათავდება, გინდაც საფრანგეთმა შუამავლობაც არ გასწიოსო“.

ვნახოთ, რამდენად გამართლდება ამერიკულ გაზეთის ცნობა.

რამდენი ჯარი ჰყავს რუსეთს მანჯურიაში

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ის ანგარიშით, რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთში სულ 32 ათასი ჯარის-კაცი ჰყავს, მალე კი 50 ათასამდე აიყვანსო. ეს ცნობა სწორედ არ იყო გადმოთარგმნილი გაზეთებში. „ტაიმს“-ის ანგარიშით, რუსეთს 32 ათასი ჯარის-კაცი მარტო პორტ-არტურში ჰყავს და არა მთელ შორეულ-აღმოსავლეთში. შორეულ-აღმოსავლეთში როგორც სჩანს, რუსებს გაცილებით მეტი ჯარი ჰყოლია. იაპონურ გაზ. „ჯაპან მეილ“-ის ანგარიშით რუსეთს მუკდენის პროვინციაში 35,800 ჯარის-კაცი ჰყავს, გირინის პროვინციაში—31,400 და ამურისაში—25,600. გაზეთი უმატებს: ეს ჯარი მეტად შორი-შორსა სდგას, მეტად გაფანტულია; ამ გაფანტულ ჯარს ომის დროს მოქმედება და მტრის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად გაუჭირდება, მით უმეტეს გაუჭირდება, რომ წინადვე არავინ იცის, საიდან გაჩნდება მტერი და რომელ ადგილზე მიიტანს იერიშსაო.

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე და დიდი სახელმწიფოები

იაპონური გაზ. „ტოკიო ასაჰი“ სწერს:

„ამ ჟამად ინგლისსა, ამერიკასა და იაპონიას ერთი პირი აქვთ შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში. ამ სახელმწიფოებს მხოლოდ რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია არ ემხრობიან. გერმანია თავის საკუთარ პოლიტიკას ადგია, საფრანგეთს-კი, კავშირის ძალით, რუსეთის პირი უჭირავს. რუსეთმა ჩინეთისაგან ძალის-ძალად პორტ-არტური და დალნი აიღო იჯარით. რუსეთის ასალაგმად ინგლისმა და იაპონიამ კავშირი შეჰკრეს. ორივ ეს სახელმწიფო ჩინეთისა და კორეის სამფლობელოსა და დამოუკიდებლობას იცავს. ამ კავშირმა რუსეთს ხელ-ფეხი შეუკრა აღმოსავლეთ-აზიაში, საფრანგეთის კავშირმაც ვეღარა უშველა-რა. ამას წინად რუსეთის იმპერატორმა გერმანიის იმპერატორი ჰნახა ვისბადენში. ზოგიერთ ჩვენებურ სახელმწიფო მოღვაწეს ეგონა, შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში გერმანიაც რუსეთს დაუჭერს მხარსაო. რუსულ გაზეთებს უფრო მეტის იმედიც ჰქონდათ: ეგონათ, რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია სულაც კავშირს შეჰკრავენო. მაგრამ გერმანიის პრესსას რუსეთთან კავშირი და მეგობრობა ჭკუაში არ მოუვიდა და აკი გერმანია დღესაც განმარტოებითა დგას და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში თავის საკუთარ პოლიტიკას ადგია.

საფრანგეთიც მეტად ორჭოფად იქცევა: დღესაც არავინ იცის, როგორ მოიქცევა ეს სახელმწიფო თუ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდათ. ფრანგული პრესსა მანჯურიის საქმეზე კრინტსაც არა სძრავს. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფს ლამსდორფს საფრანგეთში წასვლა და დელკასესთან მოლაპარაკება დასჭირდა. ჩვენი ხალხი ჰფიქრობს, გრაფ ლამსდორფისა და დელკასეს მოლაპარაკება მალე თავს იჩენს და გავლენას იქონიებს შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზეო.

ჩვენი მთავრობა მანჯურიისა და კორეის საქმეში მშვიდობიან პოლიტიკას ადგია, რადგან ესეთი პოლიტიკა ხელს უწყობს ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. ინგლისი და ამერიკაც ასეთსავე პოლიტიკას ადგანან. ინგლისი, ამერიკა და იაპონია ჩინეთისა და კორეის დამოუკიდებლობას იცავენ და ჩინეთის უმთავრეს ქალაქებში ვაჭრობის უფლებას თხოულობენ.

ინგლისმა და იაპონიამ ეხლა მაგრად უნდა დაუჭირონ ერთმანეთს მხარი და თავიანთ კავშირი გაამართლონ. ჩვენ ხალხს კარგად აქვს შეგნებული ეს აზრი!“

ოსმალეთის მთავრობის საიდუმლო განკარგულება

ოსმალეთის ხონთქარს და იმის მთავრობას მრავალი საიდუმლო აგენტი ჰყავს. ხონთქრის კანცელარიის უფროსს ამნაირი საიდუმლო ბრძანება გაუგზავნია ამ აგენტებისათვის:

1. ფოსტის მიღების უმალ, უფლება გაქვთ ყველა წერილი და პაკეტი გახსნათ და რაც კი საეჭვოდ გეჩვენებათ, ფოსტის უფროსს გამოართვათ.

2. საეჭვო წერილები და პაკეტები დაუყოვნებლივ ილდიზ-კიოსკში (ხონთქრის სასახლეში) უნდა წარმოადგინოთ და რისიც დაბრუნება შეიძლება, ისევ ფოსტის მოხელეებს დაუბრუნოთ.

3. მოვალენი ხართ ყური უგდოთ ყველას, ვინც სტამბოლის ფოსტის კონტორებში დაიარება, საეჭვო კაცების სახე დაისწავლოთ და იმათი სახელი, გვარი და ბინა გაიგოთ.

4. ის წერილები, რომლებსაც ადრესზე „სანამ მოითხოვდნენ“ აწერია, საზოგადოთ, ყველა საეჭვოდ უნდა ჩასთვალოთ, თუ, რასაკვირველია, ეს წერილები უცხოელების სახელობაზე არაა გამოგზავნილი.

5. თუ რომელსამე საეჭვო მაღალ წარჩინებულ კაცის სახელობაზე წერილი მოვა— ამ კაცების გვარები თქვენ სიაში გიწერიათ,— ყველა ამნაირი წერილი მაშინვე უკლებლივ ილდიზ-კიოსკში უნდა წარმოადგინოთ.

6. რკინის გზის სადგურებზე უნდა ბეჯითად ათვალიეროთ ყველა ის მგზავრი, ვისაც რამე ქაღალდი, პაკეტ-წიგნი ან სხვა რამ ამნაირი ექნება; უნდა გაიგოთ, სად წავლენ ეს კაცები, სად დგანან და ვინ არიან.

7. ყველა გემს, ხომალდსა და ნავს, ნავთსადგურში მომავალსა, თუ სხვაგან მიმავალს სასტიკად უნდა ადევნოთ თვალ-ყური. თუ ამ გემებზე რაიმე საიდუმლო წერილებს შეამჩნევთ, მაშინვე უნდა გამოართვათ.

8. რადგან კარგად ვიცით, რომ ბოროტგანმზრახველნი ხშირად მეზღვაურის ტანისამოსს იცმენ და უცხოეთის გემებზე საიდუმლო წერილები მიაქვთ დ მოაქვთ, თქვენ თვალყურიანად უნდა იყვნეთ, ამნაირი მეზღვაურნი ნამდვილ მეზღვაურთაგან გაარჩიოთ და თუ საჭირო აღმოჩნდა, საეჭვო წერილები ჩამოართვათ.

9. საზღვარ-გარეთიდან მოსული ოსმალეთის ქვეშევრდომნი სხვა-და-სხვა საბუთით რამდენისამე საათით მაინც უნდა გააჩეროთ, რომ იმათ, ვისგანაც ჯერ არს, გასინჯონ, პასპორტებზე ოსმალეთის კონსულებს დაწესებული ნიშნები დაუსვამთ, თუ არა.

10. თუ აღმოჩნდა, რომ ვინმე თქვენგანს ფადიშაჰისა და სახელმწიფოს მტრებისათვის დახმარება გაუწევიათ ან ფულით რაიმე საიდუმლოება გაუცია, უსათუოდ სამართალში მიიცემა ღალატისა და სახელმწიფო ბოროტმოქმედებისათვის.

ეს საიდუმლო ბძანება ფრანგულ გაზ. „ეუროპეან“-მა დაბეჭდა.

ახალი ამბავი

◆ 27 ნოემბერს მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო თვითმმართველობას, კონცესიით გასცეს ხატისოვსა და ბრაილოვსკიზე სოლოლაკის გორის ქვეშ **საბოტანიკო ბაღში ტუნელისა და ცხენის** რკინის გზის გაყვანა იმ პირობით, რომ კონცესიონერებმა მუშაობის დაწყებამდე ხაზინაში შეიტანონ 42,000 მანეთი. აქედან საბოტანიკო ბაღის დარაჯებისთვის სახლის ასაშენებლად 12,000 მან., ბაღის გარშემო ქვითკირის გალავნის შემოსავლებად (სადაც ეს საჭირო იქმნება) 22,000 მან., ბაღის შუაში ღობეების გასამართავად—4,800 მან. და ახალი გზების გასაყვანად და ძველის გასასწორებლად—3200 მან. ამას გარდა ყოველ წლიურად კონცესიონერებმა უნდა იხადონ 6000 მან. ამასთან შესაძლებელია სხვა ხარჯიც დაედოს კონცენსიონერებს, თუ ტუნელის გათხრით ძვირფას მცენარეულებასა და, საზრგადოდ, საბოტანიკო ბაღს რაიმე ვნება მიადგა. დასასრულ, რწმუნებული სწერს გამგეობას, რომ კონცესიონერებს ტუნელის გათხრა და ზედ ტრამვაის გაყვანა შეეძლებათ იმ შემთხვევაში, თუ ზემოდ დასახელებულ პირობათა გარდა შეასრულებენ შემდეგს: 1. ტუნელის მეორე თავი, ბაღში, იმ ადგილას უნდა იყოს, რომელსაც რწუნებული აღნიშნავს; ასევე უნდა გაიმართოს დაბახანის ღელეზე გადასასვლელი სიდი; 2. კონცესიონერებმა მიწით ან ქვით არ უნდა ამოავსონ დაბახანის ხევი; 3. ნება არ მიეცეს არავის საბოტანიკო ბაღის მეზობლად მდებარე ხატისოვის ადგილზე გამართოს ვინმემ ფაბრიკა ან ქარხანა, რათა კვამლმა და სიბინძურემ ბაღის ძვირფასი მცენარეულობა არ გააფუჭოს; 4. 42,000 მან. კონცესიონერებმა უნდა წარადგინონ ხაზინაში მუშაობის დაწყების წინ, ხოლო ყოველწლიური გარდასახადი წლის დამდეგს. ამას გარდა რწმუნებული სწერს გამგეობას, რადგან ხაზინა არავითარ პირობით არ ეკვრის კონცესიონერებს, ქალაქის გამგეობა ვალდებულია იყოს ზასუხის მგებელი ხაზინასთან. ამას გარდა, რადგან შესაძლებელია, კერძო პირებს, მაგ. აბანოს პატრონებს, ტუნელის გაყვანით რაიმე ზარალი მოუვიდეთ, კონცესიონერებს ქალაქის გამგეობამ უნდა დააკალოს მოსალოდნელი ზარალი უზღონ დაზარალებულთ. რწმუნებული სთხოვს გამგეობას, მალე გაუგზავნოს პასუხი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გადაუწყვეტია თვალსაჩინო სადგურებში გამართოს **სასადილოები და საჩაიები** გზის მოსამსახურეთათვის. ამ ჟამად გამგეობა ადგენს დებულებას ამ სასადილო-საჩაიების შესახებ.

◆ საერო განათლების სამინისტრომ შეიწყნარა კავკასიის **სამოსწავლო ოლქის შუამდგომლობა.** შუამდგომლობა შეეხებოდა ფულის გადადებას. ყოველ წლიწადს სამინისტრო კავკასიის სამოსწავლო ოლქს აძლევს 85,779 მანეთს. ოლქმა დამატებით ითხოვა 29,000 მანეთი. ამ ფულით ახალი

არა თუ ერთ რომელსამე სოფელში, არამედ ყველგან,—მთელ ხალხში. ამ დროში ძალიან ცოტაა ისეთი მოტივები და საერთო საქმეები, რომლებიც ხალხის ნაწილებს ერთად თავს უყრიდეს, საერთო ინტერესებს უჩენდეს და აერთიანებდეს. და ისიც, რაც არის (მაგ., არხების გაყვანა, ციხესიმაგრეების აგება, მტრებისგან თავის დაცვა), უფრო გარეგან და შემთხვევითი ხასიათისაა, რომელიც მხოლოდ დროებით, განსაზღვრულ საჭიროების დასრულებამდის, აახლოვებს ერთმანეთთან ხალხის დაქსაქსულ ნაწილებს და იწვევს საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა გადაბმულობას. ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან ძნელია სახელმწიფურ ცენტრალიზაციის შექმნა და განმტკიცება. საშუალო საუკუნეების ისტორია ამ აზრის მრავალ დამამტკიცებელ საბუთს და ფაქტს შეიცავს.

მაგრამ ასეთი ეკონომიური წყობილება დროს განმავლობაში თანდათან შეიცვალა. ოჯახს შეუმცირდა ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მას საეკონომიო წარმოებაში ჰქონდა. ხალხში ფეხი აიდგა და განვითარდა შრომის განაწილება და ამით ოჯახურ წარმოებას მიეცა ვიწრო და ცალმხრივი მიმართულება. თუ წინეთ სოფლელი მიწასაც მუშაობდა და საოჯახო მრეწველობასაც ეწევოდა,—თავის საჭიროებისათვის სამრეწველო ნაწარმოებთაც ამზადებდა, ახლა იგი მარტო სასოფლო მეურნეობაზე დადგა და მრეწველობა თვის სამოქმედო ასპარეზიდან ჩამოიშორა. სამრეწველო ნაწარმოებთა დასამზადებლად წარმოსდგა სპეციალი ხელოსანი და ხელოსნური მუშაობა და შემდეგში ფაბრიკა და ფაბრიკული წარმოება. გაზრდილმა ვაჭრობამ და აღებ-მიცემობამ დაწინაურებულ ქვეყნებიდან შემოიტანა ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომლის მსგავსს ადგილობრივი ტეხნიკა ვერ ჰქმნიდა. თანდათან გამრავლდა რიცხვი წარმოების დარგთა და ამით გართულდა საზოგადოებრივი ურთიერთობაც. თუ წინათ კაცი თავის მოთხოვნილებებს საკუთარ ნაწარმოებით იკმაყოფილებდა, დღეს მან ყველაფერი სხვისგან უნდა შეიძინოს. თუ იქ ფული იშვიათად იყო საჭირო, აქ უიმისოდ ერთ ფეხსაც ვერ გადადგამთ. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მთელი ხალხის ეკონომიური შრომამოღვაწეობაში ცვლილება მომხდარა,—შრომა განაწილებულა და რომ თითოეული მწარმოებელი თავის მოთხოვნილებათა უმცირეს ნაწილსაც კი საკუთრად, სხვებისადმი მიუმართავად, ვეღარ იკმაყოფილებს. ყველა მუშაობს თავის ფარგალში, თავის ხელობაში, აკეთებს ისეთ ნივთებს, რომლებიც სხვებს ესაჭიროებათ, და მათი გაყიდვით იძენს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სხვებს გაუკეთებიათ და მას კი ესაჭიროება. ამ გვარადვე იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს ისიც, ვინც დამოუკიდებელი მწარმოებელი არაა, მხოლოდ, ნაცვლად ნაწარმოებთა, იგი ჰყიდის თავის საკუთარ ძალღონეს და თავს დღიური ქირით ან მოჯამაგირეობით ინახავს. დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს შრომის ასეთი განაწილება უკიდურეს ხარისხამდის არის განვითარებული. და რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წყობილებაში ამგვარი მოვლენები მრავლდება, იმდენად ჩვენი ცხოვრებაც მოწინავე ხალხთა ცხოვრებას ემსგავსება და უახლოვდება.

ასეთ განწყობილებაში რომ ხალხის ყველა წრეებს შორის მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება არსებობს, ეს ყველასთვის ადვილი დასანახი და გასაგებია. ყველამ იცის, რომ ამ ჩვენს დროში ერთი რომელიმე ბანკის გაკოტრება იწვევს მრავალ სხვა ბანკთა გაკოტრებას, ბევრ ვაჭარ-მრეწველთა საქმეების აწეწას და არევ-დარევას. თქვენ, ვთქვათ, სახლის პატრონი ხართ: შეიძლება, დღეს მდგმურისგან ქირა ვერ მიიღოთ მხოლოდ იმიტომ, რომ სადმე მეორე ან მესამე ქალაქში რომელიმე ბანკი გაკოტრდა. როგორ? ისე, რომ სწორედ იმ ბანკთან ჰქონდა საკრედიტო ურთიერთობა იმ ფაბრიკანტს ან ვაჭარს, რომელთანაც თქვენი მდგმური მსახურობს. ჯიბე დაცარიელებულმა ვაჭარმა თუ მრეწველმა თავისი საქმე შეაჩერა ან, თუ არ შეუჩერებია, თავის მოსამსახურეს დროზე ვერ გაუსწორდა და ამანაც ამ მიზეზით სახლის ქირა ვერ მოგართვათ. აი, ასეთი რთული და მასთან მჭიდრო დამოკიდებულებაა დღევანდელ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებს შორის. ხშირად ეს დამოკიდებულება და ერთის პიროვნების მეორესთან დაკავშირება იქ იჩენს თავს, საცა დაუკვირვებელი ადამიანი თავის დღეში ვერ მოიფიქრებდა.

ამგვარ სოციალურ პირობებში ძალიან ძნელია კერძო და საზოგადო ცხოვრების ერთმანეთისაგან თეორიულად გათიშვა და განცალკევება. ხშირად ადვილი არაა იმის განსაზღვრა, თუ როდის აკეთებს ადამიანი ისეთ საქმეს, რომელიც მარტო მას და მის კერძო ცხოვრებას შეეხება, და როდის ისეთს, რომელიც საზოგადოების შესახები და საინტერესოა. ადვილი საქმე არაა საზღვრის გავლება და აღნიშვნა, თუ სად თავდება ადამიანის ცხოვრება კერძო და სად იწყება საზოგადო. და ეს იმიტომ, რომ ორივე ეს მხარე დღეს ერთმანეთშია გადახლართული და ადამიანის კერძო ცხოვრება უსაზოგადოებრივოდ მოუხერხებელი და წარმოუდგენელია. ვსთქვათ, რომელსამე სამრეწველო დაწესებულებაში მუშებმა ქირის მომატება მოითხოვეს, ამისათვის გაფიცვა მოახდინეს—მუშაობაზე ხელი აიღეს. ცხადია, ეს მათი კერძო მოქმედებაა, რომელსაც მიზნად აქვს დაინტერესებულ პირთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ეს არ უშლის, რომ ამ მოქმედებას ჰქონდეს დიადი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა. ვთქვათ, იმავე სამრეწველო დაწესებულებაში გაფიცვის დროს მოდიან ახალი მუშები, რომელნიც თანახმა და მსურველნი არიან ძველის ქირითა და წესით მუშაობისა. რასაკვირველია, ეს მავნებელია გაფიცულთათვის, რომლებიც ამის გამო ეწინააღმდეგებიან და იბრძვიან კიდეც. რათა, რა საფუძვლით? იმ საფუძვლით, რომ ახალ—მოსულთა „კერძო მოქმედება“ მავნებელი და საზარალოა უმრავლესობისათვის. ან ავიღოთ მაგალითისათვის ისეთი რამ, რომლის „კერძო“ ხასიათი არავის არ მიაჩნია საეჭვოდ და საცილობლად: ძილი. ჩვენ ვგმობთ და სასაცილოდ

სკოლები უნდა დაარსდეს ამიერ-კავკასიის იმ სოფლებში, სადაც მაჰმადიანნი სცხოვრობენ. უკვე შეუდგნენ საჭირო ცნობების შეკრებას ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

◆ 30 ნოემბრისათვის დანიშნულია **კრება ნოქართა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა.** კრება მეორედ არის დანიშნული, პირველად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

◆ 1904 წლის პირველ იანვრიდან **ბაქოსა და ტფილისს შუა ივლის ორი ახალი** მატარებელი სახალხო-საქონლისა. თვითეულ მატარებელში ოთხივე კლასის ვაგონები იქნება და მგზავრობა დაკლებულის ტარიფით იქნება შესაძლებელი.

◆ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ტფილისის გუბერნიიდან ყარსის ოქში საკლავ საქონლის სასყიდლად წასულა რამდენიმე კაცი. ყარსის ოლქში ადგილობრივ მცხოვრების მუსა-უსუფ-ოღლისაგან უყიდნიათ 268 სული ცხვარი და მიუციათ 1760 მანეთი. უცნობებს ნაყიდი ცხვრის ერთი ნაწილი ტფილისში გამოურეკიათ, ხოლო მეორე—გუმბრში. უსუფ-ოღლის მიერ მიღებულ 1760 მანეთიდან 190 მანეთი ნამდვილი ფული აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენი 1570 მანეთი **—ყალბი თუმნიანი და ხუთ მანეთიანები.** მაზრის უფროსის თანაშემწეს ე. დ. გუგუშვილის მეცადინეობით ნავთლუხში ამ ბოროტ-მოქმედების გამო შეუპყრიათ რამდენიმე კაცი. ბ-ნ გუგულშვილსავე გაუგია, რომ ორი ბოროტ-განმზრახველი გუმბრში იმყოფებოდა. გაუგზავნია იქ დარაჯები, რომელთაც ბოროტ-მომქმედნი დაიჭირეს და გუშინწინ ტფილისში ჩამოიყვანეს.

◆ ამას წინად ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას სია იმ კერძო კაცებისა, რომელთაც სასწავლებლის სახელოსნოში დამზადებული ავეჯეულობა და სხვა ნივთები ნისიად შეუძენიათ და დღევანდლამდე ფული არ წარუდგენიათ. გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს ყველას, ვისაც ნისიად ნივთები წაუღია, დაუყოვნებლივ წარადგინონ ფული; დაევალოს სასწავლებლის დირექტორს, შეატყობინოს გამგეობას —ვისი განკარგულებით გაიცა ნისიად ნივთები.

✦ რუსეთში მოსვლას აპირობს **ამერიკელი მილიარდერი კორნეგი.** კორნეგი, სხვათა შორის, კავკასიაშიც მოვა.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის იურისკონსულტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, შეიმუშავოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა დაიმტკიცოს **ქალაქმა ის მამულები,** რომელიც კერძო კაცთა სადავოა. გამგეობამ დაადგინა, ეს საკითხი განიხილოს და წესი შეიმუშავოს გამგეობისა და ქალაქის მამულების მეთვალყურე კომისიის შეერთებულმა კრებამ.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ მე-XI ნომერი. შინარსი ამ ნომრისა:

„აბა ვინ დასძლევს!“ სურათი პატტენისა. თამარ მეფის ღომი—გ. წყალტუბელისა. მხატვრის ნაამბობი (ჟურავსკიდან)—ტასოსი. ორი ბაყაყის თავ-გადასავალი. ზღაპარი (ნათარგმნი)—მარიამ დემურიასი. სულელი ჯეკი, (ინგლისური ზღაპარი)—გ. კაჭკაჩასი. საუბარი ცხოველებზე ბოლბერისა—კოტესი. ურმებს ლექსი—დ. თომაშვილისა. პირველი აპრილი კომედია 1 მოქმედებათ თარგმანი—ს. ციციშვილისა. ვინ იყო სერგეი მესხი—ან. წერეთლისა. ნიობე (ოვიდიუსიდან)—ა. ჟუმისთაველისა. წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი და სხვ.

◆ ვერილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგენი ს. ჯინჭველაშვილი, ვ. საყვარელიძე და ლ. ჭიპაშვილი გვთხოვენ დავბეჭდოთ: „დ. ვერილაში 21 გიორგობისთვეს გაიმართა საღამო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. შემოვიდა: ბილეთებიდან 38 მანეთი და 40 კ., კანფეტებიდან—39 მანეთი და 90 კ., და კერძოდ შემოსწირეს 59 მან. და 95 კ. სულ 138 მან. და 25 კ. დაიხარჯა: მუსიკა—15 მანეთი, აფიშები, ბილეთები და სადარბაზო ბარათები—7 მ. 75 კ. კანფეტები—23 მ. 95 კაპ. და მარკები, განათება და წვრილმანი ხარჯი—10 მან. 65 კაპ. სულ 57 მან. 35 კაპ. ხარჯს გადარჩა 80 მანეთი და 90 კ., რაც გადაეცა სრულად სამკითხველოს გამგეს. უღრმეს მადლობას ვუძღვნით ქ-ნ ნატალია მიხ. ასულს გოცირიძეს, რომელმაც გაჰმართა ეს საღამო და შრომა მიიღო თავზე ფულის შეგროვებით. აგრეთვე დიდ მადლობას ვსწირავთ იმათ, რომელთაც ბილეთები არ აიღეს და კერძოდ შემოსწირეს ფული სამკითხველოს. აგრეთვე იმათ, რომელნიც გვეხმარებოდნენ სახლის მოწყობასა და კანფეტებისა და ხილის გაყიდვაში.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამას წინად გადასდო ღარიბთა 1 თავშესაფარის შესაკეთებლად 166 მან., ხოლო მეორე თავშესაფარისა 170 მან. სააღმშენებლო განყოფილებამ გუშინ მისწერა ქალაქის ტეხნიკოსებს, ეხლავე შეუდგნენ აღნიშნულ თავშესაფართა სახლების შეკეთებას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სახელოსნო სასწავლებლის მოწაფენი ავდრიან დღეებში საღამოს 5 საათზედ გაანთავისუფლონ ხოლმე მუშაობისაგან, რომ იმ მოსწავლეთ, რომელნიც განაპირა ადგილებში ცხოვრობენ, დღისით მოასწრონ ხოლმე სახლში მისვლა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

27 ნოემბერი

ამ დღეს საბჭოს კრებამ, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, მოასწრო ხარჯთ-აღრიცხვის 12 მუხლის განხილვა. დიდი კამათი გამოიწვია მე-40 მუხლმა. ამ მუხლის ძალით უნდა გადაიდოს 12,898 მან. ქალაქის ქუჩების სარწყავად. გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომას საჭიროდ უცვნია 10,000 მანეთის გადადება. ხმოს. თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა სთქვა: ვინც დაკვირვებია იმას, თუ როგორ სუფთავდება ქალაქის ქუჩები, ის უსათუოდ დამეთანხმება, რომ მოსარწყავად რაც შეიძლება მეტი ფული უნდა გადაიდოს. მეეზოვენი ქუჩებს დილის 6 საათზე კი არა ჰგვიან, როგორც სავალდებულო დადგენილებაში გვაქვს მოხსენებული, არამედ დილის 8—9 საათზე. ზაფხულში ნაშუადღევის 1 და 2 საათზე ხშირად საშინელი კორიანტელი სდგას მტვერისა, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა ადგილებშიო. ხმოსნის აზრით, თუ მეტი არა, 12,898 მან. მაინც უნდა გადაიდოს. ხმ. ა. ს. ბაბოვი წინააღმდეგი იყო. ხმოსანმა სთქვა, უნდა აღვნიშნო ერთი არა ნორმალური გარემოება, სახელდობრ ის, რომ უმთავრესი ყურადღება ექცევა ქალაქის შუაგულ ნაწილის ქუჩებს, მაშინ როცა ქალაქის განაპირა მცხოვრებნი მტვერში იხრჩობიან. ჩემის აზრით, უმთავრესი ყურადღება ქალაქის განაპირა მცხოვრებლებს უნდა მიექცეს, რადგან აქ ღარიბნი სცხოვრობენ და ყოველთვის მოსალოდნელია სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გავრცელება. შუაგულის მდიდარ მცხოვრებთ ყოველთვის შეუძლიანთ სასურველად მოაწყონ საქმეო. კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა 10,000 მანეთი გადაიდოს ქუჩების მოსარწყავად. დიდი დრო მოანდომეს იმ საკითხს, გადაიდვას თუ არა 5,000 მან. ქალაქის გეგმისათვის საჭირო, ადრევე გასაკეთებელ საქმეებისათვის. თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა სთქვა, უსათუოდ საჭიროა გამგეობა შეუდგეს ქალაქის გეგმის შედგენას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გეგმის უქონლობისა გამო ქალაქის ადგილებს იტაცებენ კერძო პირნიო. ნ. ე. არღუთინსკი კი საჭიროდ სცნობს გეგმისათვის გადაიდოს 12,500 მან. ბოლოს საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება. მე-50 მუხლით ქალაქის გამგეობამ ითხოვა 10,000 მან. ღიდხევისა და რამდენგანმე საჭირო არხების გასაკეთებლად. 1901 წელს ამ საქმისათვის გადაიდო 25,000 მანეთი. აქედან 5,000 მანეთის შემოტანა იკისრეს ქუჩების იმ მცხოვრებთ, რომელნიც ისარგებლებენ გაკეთებულ არხებით. 20,000 მანეთი 1901 წელს საბჭომ გაანაწილა ორად: 10,000 მან. 1902 წელს, ხოლო 10,000 მან. 1903 წელს უნდა გადადებულიყო. უსახსრობისა გამო აღნიშნულ ორ წელს 10,000 მანეთის მეტი ვერ გადაიდო ამ საქმისათვის. ამიტომ გამგეობამ ითხოვა მომავალ 1904 წლისათვის დანარჩენი 10,000 მან. საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო ეს წინადადება.

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს შეუმუშავებია წესდებისა და პროგრამის პროექტი გიმნაზიებისა, 6 კლასიან განმანათლებელ სკოლებისა, კერძო სასწავლებლებისა, ებრაელთა და სამოქალაქო სასწავლებლებისათვის. ამ ჟამად სამინისტრო ჰკრებს მასალებს დედათა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის პროგრამისა და წესდების შესამუშავებლად.

◆ საქალაქო დებულების პროექტში შეტანილია ერთი მუხლი, რომლის ძალითაც სასამართლოს ნება ეძლევა, სრული წლოვანი ლოთი კაცი არა უფლებისა—მქონედ აღიაროს და მზრუნველი დაუყენოს.

◆ მომავალ წელს პეტერბურგში იქნება მოწვეული სრულიად რუსეთის კბილის ექიმთა და დანტისტების კრება.

◆ „ნიჟ. ზემ. გაზეტა“-ს კნიაგინინის მაზრიდან (ნიჟ. გუბ.) სწერენ, არ გვაქვს პური და საკვები და არც რამე გაგვაჩნია, რომ ვიყიდოთ. ერთი კაპეიკიც-კი არ მოგვეძებნება და არც სადმე შოვნის იმედი გვაქვს. შინაური ოთხფეხი სულ ჩალის ფასად გადავყარეთ. 1891—1892 წლის შიმშილობა ჯერ კიდევ არ დაგვვიწყებია; ძლივს ძლივობით გლეხობა გამობრუნდა იმ წლების უბედურებისაგან და, აი, ახლა მეორე უბედურება თავს დაგვატყდა. გადასახადების შეკრება, გადასახადებისათვის ქონების აწერა და გლეხის სარჩო-საბადებელის ძალდატანებით გაყიდვა დღესაც ჩვეულებრივის წესით მიმდინარეობს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუწყნარებია ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო საკრებულოს შუამდგომლობა და 200 ათასი მანეთი ავანსად მიუცია გუბერნიაში დამშეულთათვის პურის სასყიდლად.

◆ მატარებლების დალუპვის დროს მგზავრები ხშირად ჰკარგავენ ნივთებსა და სამგზავრო ბილეთებს და ამაში არაფერ სასყიდელს კი არა ღებულობენ. დღეს გზათა მინისტრს სამართლიანად უცვნია, შეიმუშავოს წესები, რომლის ძალითაც დაუყოვნებლივ შეწყნარებულ უნდა იქმნას მგზავრების საჩივარი დაკარგულ ნივთებისა და სამგზავრო ბილეთების თაობაზე.

◆ გზათა სამინისტრო ამ ჟამად სწავლობს საკითხს რკინის გზებზე მოძრავ საავადმყოფოთა შემოღების შესახებ. საავადმყოფო ვაგონები მოწყობილი იქნება ყოველგვარ საჭირო მასალებითა და იარაღებით, რომ დაუყოვნებლივ საექიმო დახმარება აღმოუჩინონ მატარებლების დალუპვის დროს დაშავებულთ.

◆ 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე რიაზან-ურალის რკინის გზის სადგურ რიაზანის მახლობლად სადგურიდან სახლში მიმავალს ჟანდარმის უნტერ-ოფიცერს გ. ი. არჟანოვს თავს დასცემია ორი შეიარაღებული ბოროტ-მომქმედი. ერთს მათგანს ჟანდარმისათვის ყელში ხელი უტაცნია, მეორეს კი თავზე წალდი დაუკრავს და წაუქცევია, რის შემდეგ ორივენი დამალულან („რუსკ. ვედ.“).

◆ „მოგ. გუბ. ვეს.“-ში დაბეჭდილია ცნობები, რომელნიც ნათლად ახასიათებენ მოგილევის გუბერნიის მცხოვრებთა დაცემულ ეკონომიურს მდგომარეობას. როგორც სამხედრო საქმეთა საკრებულოს მაგალითებიდანა **სჩანს, ჯარში** გასაწვევ ახალგა-

---

ვილებთ ისეთ ადამიანს, რომელიც გადაჭარბებულად ბევრ დროს ძილში ატარებს,—არ ვერიდებით არც მის კერძო უფლებას და არც კერძო ცხოვრებას, და ჩავდივართ ამას საზოგადოებრივი პრინციპის საფუძვლით: ზარმაცი კაცი ძილისა და მოსვენების დროის გადიდებით სამოქმედო დროს ამოკლებს და ამით საზოგადოებას ქონებრივ თუ გონებრივ ძალას უკლებს და უმცირებს. ვკიცხავთ მოქეიფე ადამიანს, რომელიც მხოლოდ სჭამს, სახალხო მეურნეობას ნაღებს ართმევს და სამაგიეროდ საზოგადოებას არაფერს სძენს. საზოგადო საქმედ მიჩნეულია ექიმობის მოწყობა და ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა არა იმიტომ, რომ ვითომ კარგად თუ ავად ყოფნა ადამიანის კერძო ცხოვრებას არ შეადგენს, არამედ იმ საფუძვლით, რომ ხალხის სიმრთელესთან შეკავშირებულია მთელი საზოგადოების ინტერესი და სარგებლობა. საზოგადოებისათვის სულ ერთი არაა, მშრომელი ადამიანი ჯანმრთელი იქმნება, თუ დასუსტებული. სხეულით სუსტი ადამიანი სამუშაოსაც სუსტად ასრულებს, მის მოძრაობას ნაკლები ძალა აქვს, მის მუშაობას ნაკლები ნაყოფი მოაქვს. საზოგადოების ინტერესი მოითხოვს ხალხის საწარმოო ძალა ვითარდებოდეს, ადამიანის შრომა მეტ ნაყოფს იძლეოდეს. მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლებელი მოთხოვნილებათა გამრავლება და დაკმაყოფილება, ცხოვრების გაუმჯობესება და საერთოდ კულტურის გაძლიერება.

აი, ასე დაახლოვებულია და ხშირად გადაბმული ერთი-მეორეზე ადამიანის ცხოვრების კერძო და საზოგადოებრივი მხარე. და რამდენადაც დრო მიდის, იმდენად კერძო, საზოგადოებისაგან დამოუკიდებელ ცხოვრების ფარგალი ვიწროვდება, ხოლო მხარე სოციალური ფართოვდება და მეტის მნიშვნელობისა ხდება. ამას ნათლად გვიჩვენებს იმ ინსტიტუტის ცვლა და განვითარება, რომელსაც ოჯახი ეწოდება. ძველს დროში ოჯახი ერთ პატარა სამეფოს წარმოადგენდა, სადაც ოჯახის უფროსი იყო სრული გამგე და ბატონი ოჯახის წევრებისა. მისი მოქმედება და განკარგულება არავითარ სხვის კონტროლს არ ემორჩილებოდა. თვითონ ცოლქმრობაც, სქესთა შეუღლება, კერძო ხელ-შეკრულობის ნიადაგზე იყო დაფუძნებული,—მას არავითარი იურიდიულ—სოციალური სანქცია და ბეჭდის დასმა არ ეჭირვებოდა. მაგრამ შემდეგმა ისტორიულმა განვითარებამ ეს „კერძო სფერა ცხოვრებისა“ შეჰკვეცა და მასზე მაღლა საზოგადოებრივი ავტორიტეტი და ძალა დააყენა. ოჯახის ბევრი უფლებები საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე,—სახელმწიფოზე გადავიდა. დღეს ჩვენში რომ უთხრათ ვინმე ოჯახის მამას: სახელმწიფოს შეუძლია ძალა დაგატანოს და შენი შვილების აღზრდა სავალდებულოდ გაგიხადოსო, უთუოდ გაუკვირდება. ჩემს შვილებთან სხვას რა ხელი აქვსო, გეტყვით ის გაოცებული,—განა ჩემს ნებაზე არაა, ვასწავლი და გამოვზრდი მე იმათ თუ არაო? გეტყვით ამას იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძველ წყობილების შესაფერი წარმოდგენა არ გამქრალა და არც სოციალური კანონდებულება საკმაოდ განვითარებულა. დასავლეთ ევროპაში ეს საგანი არავის გააკვირვებს,—იქ დიდი ხანია ახალთაობას სავალდებულო აღზრდა შემოღებული და განხორციელებულია, და არავის ფიქრადაც არ მოსდის, ამაზე პროტესტი განაცხადოს და თქვას: ეს ჩემი კერძო საქმეა და სხვას აქ ხელი არა აქვსო.

ამ გვარ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როცა ერთ წინა წერილში მკითხველს ოჯახზე მივუთითეთ და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, შეძლებისდაგვარად, გავუთვალისწინეთ. იქ ვამბობდით და აქაც ვიმეორებთ, რომ არც ერთ ახალგაზდას, რომელიც დაოჯახიანებას გაურბის, არა აქვს ზნეობრივი უფლება თავი იმართლოს და ერის წინაშე პასუხის მგებლობა თავიდან აიცილოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ეს ვითომ „მისი კერძო საქმეა და მასში გარევის უფლება სხვას არავის აქვს“. და ეს იმიტომ, რომ აქ, ამ „კერძო „ცხოვრებას“ დღევანდელს პირობებში საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახლავს. დაოჯახიანება და შვილების აღზრდა სწორედ ისეთი „კერძო საქმეა“ ადამიანისა, რომელიც ბევრის მხრით მთელს საზოგადოებას ეხება და ეინტერესება. თუ თანამედროვე ცხოვრებაში კერძო ადამიანის გადაჭარბებული ძილიც-კი საზოგადოებისთვის ინტერესს და მნიშვნელობას მოკლებული არაა, რაღა უნდა იყოს. ოჯახი, ეს წყარო ცოცხალ ძალის ნაკადულისა, რომელიც აძლევს საზოგადოებას მუდამ ჟამს ახალ ღონეს და ენერგიას.

ამიტომ ყოველი ცოლშვილიანი ადამიანი, რომელიც თავის ოჯახისთვის იღწვის და შვილებს ზრდის, ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრით საზოგადოებისთვის სასარგებლო პირად. მაგრამ სარგებლობის მოტანა კიდევ არ ნიშნავს საზოგადო მოღვაწეობას. ფაბრიკანტი, რომელიც თავის სარგებლობისა და გამორჩენის გულისთვის, წარმოებას ეწევა და მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს, დღევანდელს წესწყობილებაში, უეჭველად, სასარგებლო კაცია, მხოლოდ მისი საზოგადო მოღვაწედ ჩათვლა მარტო ამ საფუძვლით არ შეიძლება. ოჯახის მამა ჩვენ მაშინ მიგვაჩნია ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ, როცა მას ჩვენი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს და თავის შვილებს ისე სწრთვნის და ზრდის, რომ იგინი შემდეგში შეიქმნენ სასარგებლო წევრნი ჩვენის ერისა, გულწრფელნი მუშაკნი ჩვენი ხალხის ეროვნულ გათვით-ცნობიერების და კულტურულ წინმსვლელობისა.

ეს არის ჩემი აზრი,—ვფიქრობ, გამოთქმული ნათლად და გასაგებად; ეს მქონდა ნათქვამი, ცოტა უფრო ვრცლად და გარკვევით, ზემოხსენებულ წერილშიაც. მეგონა, ამით საანბანო ჭეშმარიტებას ვამბობდი, მაგრამ შემცდარი გამოვდექი. გაზეთ „კვალში“ ეს აზრი თავიდან ბოლომდე ყალბად სცნეს და მის დარღვევას ვრცელი წერილი უძღვნეს. შემდე წერილში მოგახსენებთ: ვინ, როგორ და რა ნაირად.

Rira bien qui rira le dernier.

(დასასრული იქნება)

ფ. გოგიჩაიშვილი

ზდათა (21 წლისა) შორის წლიდან წლამდე მატულობს ფიზიკურად სუსტებისა (39,6 პროცენტი) და ტუბერკულეზით (ჭლექით) ავადმყოფთა რიცხვი. გაზეთი ამბობს, ამ სამწუხარო მოვლენის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ხალხი ცუდად საზრდოობს. სანამდე ხალხი ასეთის ცუდითა და უნოყივრო საჭმელით იკვებება, საექიმო დახმარება, ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობისათვის და ექიმებისა და ფერშლების შრომა უაზროა და უნაყოფოა.

◆ 21 ნოემბერს პეტერბურგში დიდის ამბით უდღესასწაულნიათ დედათა უმაღლეს კურსების არსებობის 25 წლის იუბილეი. დღესასწაულზე მრავალს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთ წაუკითხავთ სიტყვები და აღუნიშნავთ ის დიდი სარგებლობა, რომელიც ამ კურსებმა მოუტანა ქალთა სწავლა-განათლების საქმესა და საზოგადოდ რუსეთს.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. დიდი ხანია ქართულ თეატრში მოსიარულე საზოგადოებას ისეთის ინტერესით აღარ მოუსმენია პიესა, როგორითაც ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, მოისმინა. არც საკვირველია: აღგენდნენ, ამასთან რიგიანად და დაკვირვებით, საუკეთესო თანამედროვე დრამატურგის საუკეთესო პიესას. გუშინ-წინ გავაცანით მკითხველებს შინაარსი ამ პიესისა. იბსენმა „ექიმ შტოკმან“-ში დაასურათ-ხატა თავისი თანამემამულენი, მაგრამ ყველასთვის აშკარაა, რომ ყოველ ერს შორის, ყოველ კუთხესა და ქალაქში შეჰხვდებით ისეთვაჟბატონებს, როგორნიც არიან ბურგომისტრი, გოფსტადი, ბილლინგი, ასლაკსენი. ესენი საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებენ იმიტომ, რომ მეტი გავლენა მოიპოვონ და უფრო მეტად გაისქელონ ჯიბეები. ტყუილად კი არ ამბობს მალ-მალ ასლაკსენი: „ზომიერება, მეტი ზომიერებაო“. ზომიერება ამათთვის ის ფარხმალია, რომლის მეოხებითაც ყველას იმაღლიერებენ და თავიანთ თავსაც არ ივიწყებენ. აი, ამ „ბურჯებს“, ამ დაობებულ ტბას შეებრძოლა ექიმი შტოკმანი. ბრძოლა ცხარე და მედგარი იყო. შტოკმანი დამარცხდა, მაგრამ დამარცხდა-კი? შტოკმანი ხომ პირველი მერცხალია გაზაფხულისა, თვით-ცნობიერების და თავისუფლების წინამორბედი. დღეს შტოკმანი მარტოდ-მარტოა, ბრბოც, უმრავლესობაც იმის წინააღმდეგია, მაგრამ მალე გამრავლდებიან შტოკმანისთანა კაცები, ბრბოშიაც მზის სხივი ჩააშუქებს და დადგება სანატრელი გაზაფხული.

როგორცა ვთქვით, წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. საზოგადო შთაბეჭდილება ასეთია, თუმცა არა ერთისა და ორის ნაკლულევანების აღნიშვნა შეიძლება. „ექიმი შტოკმანი“ რთული და ძნელად წარმოსადგენი პიესაა. ყველა მომქმედი პირი ტიპია, სავსებით დახატული, ხოლო ტიპების წარმოსადგენად ნიჭიერი არტისტები არიან საჭირონი. ამ წარმოდგენამ გვაჩვენა, რომ ჩვენს არტისტებს, თუ მოისურვებენ, ასეთის რთულისა და ძნელის პიესის წარმოდგენაც შეუძლიანთ. რიგიანად როლების უცოდინარობა, აი, პირველი ნაკლულევანება ამ საღამოსი. ყველაზე უკეთ თავიანთი როლები შეასრულეს ბ-ნთ ყიფიანმა და გედევანოვმა. ყიფიანს (მორტენ-კილ) სულ ორიოდე სიტყვა ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ამ ორ სიტყვას კარგის გრიმისა და ორიგინალურის თამაშობით ისეთი ელფერი დასდო, რომ ცოცხალი ადამიანი დაგვანახვა. ექიმ შტოკმანის შემდეგ ბურგომისტრი მთავარი მომქმედი პირია პიესაში. იგი პირველი მოწინააღმდეგეა ექიმისა, მეთაური ბრბოსი, რომელიც ხშირად „იმას იძახის, რასაც ჩასძახებენ“. ამ როლს ბ-ნი გედევანოვი თამაშობდა. არტისტმა ნათლად გვამცნო ამგვარ „ბურჯის“ თვისებანი: გამოანგარიშებული სიდარბაისლე, დაკვირვება ყოველ სიტყვისა და საქმის დროს, შეუმჩნეველი გაიძვერაობა და ანგარება. ეჭვი არ არის, ეს როლი ბ-ნ გედევანოვის რეპერტუარში საუკეთესო როლად გადაიქცევა.

საკმაო უნარი, დაკვირვება და მომზადება გამოიჩინეს ახალგაზრდა მსახიობებმა ივანიძემ—ასლაკსენისა, იმედაშვილმა—ბილლინგისა და შალიკაშვილმა—გოფსტადის როლში. ვურჩევთ, ერთხელ კიდევ ვურჩევთ უფრო დაბეჯითებით შეისწავლონ ხოლმე როლები, მაშინ გამბედაობაც მოემატებათ თამაშობის დროს. სუსტობდნენ და ძალიანაც სუსტობდნენ ამ საღამოთი ქალები— ქ-ნნი ჩერქეზიშვილი და კარგარეთელი. პირველი ექიმ შტოკმანის ცოლისა, ხოლო მეორე ქალის როლს ასრულებდა. ესენი მარტოოდენ ნათესავები არ არიან მებრძოლ კაცისა: თანამგრძნობნი და თანამოზიარენიც არიან იმ საქმისა, რომელსაც ექიმი ემსახურება. სამწუხაროდ, ამ მსახიობ ქალთა თამაშობას არ ეტყობოდა არც თანაგრძნობა და არც თანამოზიარეობა. სიტყვებს ამბობდნენ მხოლოდ და სხვა არაფრით გამოხატავდნენ თავიანთ მწუხარებას, ბოღმას საყვარელ კაცის დატანჯვის გამო. ბ-ნ სვიმონიძეს ამ საღამოს უმნიშვნელო როლი ჰქონდა.

შტოკმანის როლს ასრულებდა ბ-ნი კ. მესხი. ეს როლი ძალიან ძნელია. ჩვენის აზრით, ამ როლის გაპიროვნებისთვის ერთი კი არა, რამდენიმე წარმოდგენაა საჭირო, რომ მოთამაშემ შეითვისოს, შეისისხლხორცოს იგი, ჩაუკვირდეს გმირის სულის ყოველ მოძრაობას და სავსებით შეიგნოს იმისი ბუნება, ამიტომ ვერ ვუსაყვედურებთ ბ-ნ მესხს, თუ პირველ წარმოდგენის დროს იმის თამაშობას ესა თუ ის ნაკლი ახლდა. შტოკმანი ერთსა და იმავე დროს რწმენისა და საქმის კაცია, კარგი მეოჯახე და გულუბრყვილო ადამიანი. ბ-ნ მესხს აკლდა რწმენა თავის თავისა, აღფრთოვანება და გატაცება მართალ საქმისათვის. იმის კილოში ეჭვი გამოისმოდა, მაშინ როდესაც ყოველი სიტყვა შტოკმანისა, განსაკუთრებით იმ დროს როდესაც მოწინააღმდეგეებს პირისპირ ებრძვის, მჭრელი უნდა იყოს, როგორც მახვილი.

ამ საინტერესო დრამას ხალხი, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო. ურიგოს არ იზამენ, თუ პიესას ამ სეზონში გაიმეორებენ.

ოზურგეთი. კვირას, 23 ნოემბერს, გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა „თვალმაქცობა ანუ ექიმბაში“, კომედია ორ მოქმედებად წერეთლისა და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, კომედია ორ მოქმედებად რ. ერისთვისა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ევ. წუწუნავა, კ. ხურციძე, და ჩ-ძე. ბ-ნი კ, ბებურიშვილი, ალ. წუწუნავა და ე. ჩხატარაიშვილი. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. არც ერთს თითქმის როლის არაფერი არ გაეგებოდა, მეტადრე ევ. ჩხატარაშვილს. ხალხი ცოტა დაესწრო.

ოცნება

ჭიათურა. როგორც პატივცემულ მკითხველებსაც მოეხსენებათ, დამლევ აგვისტოდან აქ წარმოდგენები აღარ იმართებოდა და სათეატრო დარბაზი გამცდარია ხოლმე. საბედნიეროდ, წელს ორიოდე იაფ-ფასიან წარმოდგენას მაინც ველირსეთ. ის ხალხი, რომელიც წინად სამიკიტნოებსა და ყავახანებში ატარებდა დროს, დღეს, თუ წარმოდგენაა, არ აკლდება თეატრს. წარმოდგენების დროს სათეატრო დარბაზი მთლად გაჭედილია. 25 ნოემბერს ქუთაისის სცენის მოყვარეთ გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ითამაშეს: „კინტო“, კომ. აკაკისა. წარმოდგენას, საზოგადოდ, არა უშავდა-რა. დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი. ლექსები წაიკითხეს ბ-ნი ზარდალიშვილმა და ჩარკვიანმა. წარმოდგენას საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო.

ლადო

სასამართლო

I

კაცის მოკვლა

1900 წლის 18 მაისს, ამაღლება დღეს, სურამის ეკკლესიაში „დროს გასატარებლად“ ყოფილა რაჭის მცხოვრები იასონ ყიფიანი. როდესაც ყიფიანი კარგად შექეიფიანებულა, დაუქირავებია ეტლი ალექსანდრე ბერიძისა, თან ჩაუსვამს თავისი ოთხი ამხანაგი და უბრძანებია მეეტლესათვის ხაშურში ჩასვლა. კარგა მანძილი რომ გაუვლიათ, ყიფიანს ეტლში ორი სხვა კაციც მიუწვევია. მეეტლეს ბერიძეს ეტლი შეუყენებია გზაში და უთქვამს, არ შემიძლია ექვსი კაცი ხაშურამდე ჩავიყვანოო. ამაზე ყიფიანს მეეტლისათვის მუშტი შემოუკრავს. ბერიძეს მოკლე ჯოხი ამოუღია „კოზლიდან“ ამავე დროს გზად გაუვლიათ გლეხებს მიხეილ პიტაძეს და ლექსო ჯაფარიშვილს. დაუნახავთ ყიფიანი რომ მეეტლესა სცემდა და უთქვამთ ყიფიანისათვის, ნუ სცემო. ყიფიანს უძვრია ხანჯალი, გლეხებს დაჰრევია და რამდენგანმე დაუჭრია როგორც პიტაძე, ისე ჯაფარაშვილი. ყიფიანის ამხანაგები გაქცეულან. ამ დროს მეეტლესაც მოუტრიალებია ეტლი და სურამისაკენ დაბრუნებულა. ყიფიანი გამოსდევნებია მეეტლეს, ავარდნია ეტლში, ჩაუვლია ხელი საყელოში ბერიძისათვის და რამდენჯერმე ხანჯალი თავში ჩაურტყამს. შემდეგ გადმოუთრევია ძირს, წაუქცევია და ისე ძლიერ ჩაუკრავს ხანჯალი, რომ იქვე მოუკლავს. თითონ ქვეითად გასდგომია გზას სურამისაკენ. ამ მკვლელობის გამო ყიფიანი პასუხის გებაში მისცეს. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ყიფიანს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ ეს საქმე გაარჩია 27 ნოემბერს, იმანაც დამნაშავედ იცნო ყიფიანი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

II

შორაპნის მაზრის მცხოვრები თეოფანე სარალაძე პასუხის გებაში მიუციათ. სარალაძეს ჰბრალდებოდა საეროებო დარაჯისათვის სამსახურის აღსრულების დროს შეურაცხჰყოფის მიყენება. ქუთაისის ოლქის სასამართლოს სარალიძესათვის გადაუწყვეტია სამის კვირით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალდებულს ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია პალატაში, რომელმაც 27 ნოემბერს განიხილა ეს საქმე, სარალიძე დამნაშავედ არ იცნო და გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი

შანჰაი. ჰფიქრობენ, ამ მოკლე დროში იმპერატორის სახლობა სინან-ფუში გადასახლდებაო.

ბელგრადი. რადინოვიჩმა კვლავ განაცხადა, მინისტრის თანამდებობას თავს ვანებებო. დღეს ეს ამბავი მინისტრ-პრეზიდენტმა სკუპშჩინას აცნობა.

კოპენჰაგენი. მეფემ პანამის რესპუბლიკა აღიარა.

ხრისტიანია. ნობელის პრემიის კომიტეტმა აცნობა სტორტინგს, რომ პრემია მშვიდობიანობის იდეის პროპაგანდისათვის დაენიშნა ინგლისის დეპუტატთა პალატის წევრს კრემერს.

ტოკიო. იმპერატორმა გახსნა პარლამენტის სესია და განაცხადა, მინისტრებს ამ ჟამად მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოლაპარაკება აქვთ გამართული და სიფრთხილითა და წინდახედულადაც იქცევიან, რათა დაიცვან შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა და იაპონიის ინტერესები და უფლებანი.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). დიდის ამბით იდღესასწაულეს სოფიის უნივერსიტეტის 15 წლის იუბილეი. მთავარმა პროფესორებს სადილი გაუმართა.—წმ. გიორგის კავალერების დღესასწაულის გამო დიდის ამბით გადაიხადეს პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო აგენტი, რამდენიმე ოფიცერი და ბოლგარიის სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელთაც სამხედრო ორდენის ნიშნები აქვთ.

ტოკიო. რუსეთის ძლიერი ესკადრა, რომელიც შესდგება 8 გემისაგან —ამათ შორის ორი საომარი გემია, ჩემულპოში იმყოფება. ესკადრის მოსვლის შემდეგ რუსეთის ელჩი სეულში და რუსეთის ადმირალი კორეიის იმპერატორთან აუდენციაზე წავიდნენ.

ვენა. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ პანამის რესპუბლიკა აღიარა.

ადენი. ხმა გავრცელდა, ინგლისის ჯარში მყოფი სომალიელები აჯანყდნენ და გიჟ-მოლას ჯარებს შეუერთდნენო.

მოსკოვი. კონსერვატორიაში გამართულ საღამოს დაესწრო დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

28 ნოემბერი.

მინსკი. არსდება საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს შეისწავლოს ბელორუსია ისტორიულისა და ეტნოგრაფიულის მხრივ.

რიგა. ინგლისელთა ნავთის საზოგადოებამ „ჩატმა - ოილფილდ“-მა, რომელიც გასულ წელს დაარსდა კავკასიაში, რიგაში შეიძინა მამული ნავთის საწყობის გასამართავად.—პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტის 75 წლის იუბილეიზე დასასწრებლად პეტერბურგს წავიდნენ რიგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტები.

ბერლინი. რეიხსტაგი. სოციალ-დემოკრატმა ბებელმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, რომ საიმპერიო კანცლერს მანჯურიაში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ზნეობრივად უნდა ემოქმედნაო. გრაფმა ბიულოვმა პასუხი გასცა და სთქვა, ბებელი ბრალსა გვდებს მანჯურიის საქმის გამო უმოქმედობისათვის, მაგრამ არ არის დედამიწაზე ისეთი კუთხე, სადაც გერმანიას ისე ცოტა საქმე ჰქონდეს, როგორიც მანჯურიაში. შეუძლებელია მანჯურიაში გერმანიისთვის საქმე გამწვავდეს. გერმანიის პოლიტიკა იქ მშვიდობიანობის გზას ადგას.

სტოკჰოლმი. ნობელის სახელობის პრემია მიუსაჯეს ქიმიკოსებს ფრანგს ბეკერელიუს და ცოლ-ქმარს კიურის. ფიზიკოს არენიუს, სტოკჰოლმელს, ექიმს ფინდენს, კამენჰაგენელს და მწერალს ბიერნშტერნ-ბიერსონს.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). იმ ცნობამ, რომ უწმ. სინოდმა განკარგულება გასცა შეჰკრიბონ იმპერიის ეკკლესიებში შეწირულებანი მაკედონელთა დასახმარებლად, აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.—ბორის სარაფოვი გაემგზავრა ბელგრადს, სადაც მაკედონელთა მოძრაობისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად დიდ მიტინგს გაჰმართავს აპირობენ.—ბიტოლიიდან იტყობინებიან, ბიტოლიის არქიეპისკოპოსმა გრიგორიმ დაიარა აჯანყების დროს დაზარალებული რამდენიმე სოფელი. ჰსურდა ხალხისათვის ნუგეში მიეცა და შემწეობა აღმოეჩინა, მაგრამ ოსმალეთის მოხელეებმა აუკრძალეს, სამწყოსთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ პირველ დეკემბერს, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა მებაღისათვის სახლის აგება სოფელ ავჭალაში. სამუშაო 1113 მან. 94 კაპეიკისაა.
ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმას შეუძლიან წინ-და-წინვე გასინჯოს პირობანი და აღრიცხვა წყლის მილის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დან 3 საათამდე. (6. 3—3)

აფხანაურის სანერგე
ამერიკულ ვაზისა
მიხრან ალ. ანანოვისა იყიდება. ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი, როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გობრიდები.
აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.
ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—210—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენიან და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ნატურელ
თმის საღებავი
ჰოლლენდერ
არა მავნებელი და კარგი საღებავი თმისა; ღებავს ნამდვილ ფერად: შავად, წაბლისფერად და ქერად.
საღებავი ნატურელ არ აფუჭებს თმას. ფასი კოლოფისა 1 მ. და 50 კაპ., გაგზავნით ევროპის რუსეთში 2 მან. ისყიდება რუსეთის ყველა საფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში. უმთავრესი საწყობი საღებავისა გამომგონებთანაა: სავაჭრო სახლი **„საპარფიუმერიო ლაბორატორია ი. ჰოლლენდერ“**, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქ. 13. (4—5.—2)

Дозв. ценз. Тифлисъ 28 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.ı Т—ва